


საქართველო

17



გამოსვლის, 56-ე წელი, (№ 1555) • სექტემბერი 1979, ფასი 20 კაპიკი.



გ. გ. გ. 79

ერთად ვებრძობოთ!



როცა ჩვენს საზოგადოებაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებული უფრო პარაოზთ, მხედველობაში გვაქვს, რომ უთუოდ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. ამიტომ ხაზს ვუსვამთ, რომ გაწეული მუშაობა არ გვაკმაყოფილებს, მოგვიწევს კიდევ უფრო რთული და დიდი მუშაობა ამ ფრონტზე.


საქართველოს პარტიული აპტივის 1979 წლის 26 ივნისის კრების მასალაებიდან.

დღეს, როცა გმირი ხალხი ქართველი სუვერენული შრომის სასწაულს ახდენს, შვენივლი შეტევა და შემართება, სიტყვაც ნაღდი აქვს და საქმეც ნაღდი, —



დღეს, რესპუბლიკას როცა დაჰნათის ძმობის ზეიმის მზე სულზვიადი, და ჩვენს მშრომელებს როცა აღანთებს ჯერარანახული ენთუზიაზმი, —

აქა-იქ, ზოგჯერ, ისევ გვარცხვენენ! — გასაკვირველი არის, ღმერთმანი! — კანონს კანონის არღვევს დამცველი! მექრთამეობას „ებრძვის“ მექრთამე!



ზოგ-ზოგს ქონებით უნდა მეფობა, (ბინებს დაადო კლიტე-ურდული!) შეპყრობილია მისწრაფებებით ნაძრახით — კერძომესაკუთრულით!

ჩვენში დღეს კერძომესაკუთრება ეშმაკის მუშა, ეშმაკის კერძი! — ის ერს აყენებს უდიდეს ზიანს, საქმეს — საერთო-სახალხოს — ებრძვის!



მომხვეჭელობას მომხვეჭი ლანძღავს! ბიუროკრატია — ბიუროკრატიაზმს! დგას ფორმალისტი, ნაკლზე კრინტს არ ძრავს. ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებით მსჯელობს, ზოგადით!

მაღალფარდოვნობს, აღარ ისვენებს, — პარადულობის ეშში შესული, — აფუჩიებს და ჩქმაღავს სიმძნელეს და გადასაწყვეტ საკითხს გვერდს უვლის!

პროვოკატორი ჭორებს ავრცელებს, ანგარებიან მიზნებს ისრულებს!.. და გულგრილობა ობივატელის — ზღვარამდე არის უკვე მისული!



ზოგი სავარძლით, რბილით, ყოყორობს და შეუცვლელი ჰგონია თავი, გაქსუდა, სახე უგავს ყაყაჩოს, ამპარტავენობს და ქელმადლობს ამით!

კარიერისტი სკამს ეჭიდება, — ხელთ რომ იგდოს და მოირგოს კარგად! უღირსი ითხოვს ჯილდო-დიდებას და გამფლანგველი ჩუმ-ჩუმი ფლანგავს!



მლიქვნელი ვაი-ხელმძღვანელს აქებს! — ვაი-ხელმძღვანელს ეს უნდა სწორედ! —

აჭიანურებს უბრალო საქმეს და უსულგულოდ ეპყრობა მთხოვნელს!

დამტაცებელი შრომის ოფის არ ღვრის, — დატაცებისთვის მართავს გონებას და გატაცებით იტაცებს ხალხის და სახელმწიფოს დოვლათ-ქონებას!

ქურდი ნაქურდლით ვილას იშენებს და კვაჭი კაცის ზრახვა ხორცს ისხამს! მტყუანი მართლის სახელს იწემებს, უპატიოსნო — პატიოსნას!

უყარათო — უჭკუოც არის და ვერ ასრულებს ამიტომ გეგმას, წარმოებაში არ იცავს ხარისხს, სამაგიეროდ, თავს იცავს ყველგან!

ბატონკაცურად დადის ბაქია და ბაქიბუქით იკლებს ქვეყანას! თაღლითი იერს იღებს საქმიანს! მოლაყბებს ენა არ დაეღალა!

მედროვემ უცებ იცვალა სახე, დროს შეეგუა დროებით ავი, მიყუჩდა, მომენტს ელის ხელსაყრელს, თანამზრახველიც ბევრი ჰყავს ირგვლივ!

ტყავს იძრობენ და ისე იხდიან ხალხმრავალ ქელესს, ქეიფს თუ ქორწილს!.. ნორმა და ზომა აღარ იციან — რჩება, იყრება პური და ხორცი!..

გაუთავებელ ქეიფს აკვდება, სადღეგრძელოში ღამეს ათენებს და მოგონილი პატრიოტიზმით ამაყობს ზოგი ვაი-ქართველი!

აღარაფერი მოსწონს ნიჰილისტს და ლენცოფა აქვს ენად ცინიკოსს, არ გააჩნია გრძნობა სირცხვილის — ჩვენს მიღწევებზე ქირქილ-ქილიკობს!

აცოფებს ავკაცს — გულშავ გარეწარს, — საქართველოში კარგი რაც ხდება! თუმცა დამარცხდა, — ვული დაეწვა, — ვერ შეურიგდა ამ დამარცხებას!..

ყველა სიმძნელეს უნდა გავუძლოთ, უკანონობას ავხადოთ ფარდა! ბოროტებაზე, დანაშაულზე თვალის დახუჭვის უფლება არ გვაქვს!




ირინა ბაბაშვილი



საიდა გვინა




ლიანა შოვაჩავა



თეიმურაზ ბაგრატიანი



ნოსტა ბადალაშვილი



კაკა ბაგვაშვილი



თეიმურაზ ხაველური

ნიანგი სთხოვს:

...**კიბარეატიძის** ინსტიტუტის დირექტორს — აკადემიკოს ვლადიმერ ჭავჭავანიძეს, — ჰკითხოს თავის ჭკვიან მანქანებს: ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა დელეგაციამ მეოთხე სპარტაკიადაზე დაიკავა მეხუთე ადგილი, მეხუთე სპარტაკიადაზე — მეექვსე ადგილი, მეექვსე სპარტაკიადაზე — მეშვიდე ადგილი, მეშვიდეზე კი — მერვეკიდევ რამდენი დროა საჭირო, რომ ბოლოს და ბოლოს, დავიკავოთ ბოლო, მეჩვიდმეტე ადგილი?!

...**სპარტაკიადის** — აბსოლუტურ ჩემპიონს ძიუდოში თემურ ხუბულურს, მახრჩობელა ილეთი ჩაუტაროს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის ხელმძღვანელებს. როგორც სპარტაკიადაზე გამოიჩინა, ეს არც ისე ძნელია!

...**იოსებ მაღალაშვილს**, სპარტაკიადის ჩემპიონს სამბოში, თემურ ხუბულურის მაგალითისა-მებრ, მტკივნეული ილეთი ჩაუტაროს ზოგიერთ ჩვენს გამოჩენილ, მაგრამ სპარტაკიადაზე გამოუჩენელ მოჭიდავეს!

...**ქათიშვილს** ლოსაბერიძეს, თავი დაანებოს ისრების გზავენას ათიანში და ივარჯიშოს ცხრიანებში მორტყმაზე — მომდევნო სპარტაკიადაზე ჩვენ ზომ მეცხრე ადგილზე უნდა გამოვიდეთ!

...**ჩვენს** მშვენიერ პარინე გაბაშვილს. ბურთით ვარჯიში (და თამაში) ასწავლოს თავის ხელბურთელ, ფრენბურთელ და კალათბურთელ დაქალებს (...ვაჟებსაც!).

...**კაკაბა** შამუგიას, ასწავლოს სპორტის ზოგიერთ მესვეურს, როგორ უნდა გადახტეს მაღალი სკამებიდან დაბალ სკამზე!


...**ლიანა** ცოტაძეს, ასწავლოს მათვე, როგორ უნდა ჩამოხტნენ ზემოდან ქვემოთ!

...**კვიციანს** მაია ჩიბურდანიძეს, გვასწავლოს, როგორ შევწიროთ სპორტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც ფაქტიურად უმოქმედოდა და არაფერში გვარგია!


მწერალ თენგიზ გოგოლაძის მადლობრული შარბამი.



კაკა ბაგვაშვილი



კაკა შამუგიას



მიხეილ ნალავა



შეხვედრის... არ ლეწვი იგულისხმება მგაფილ გამოკვეთილი სიტყვა და სიყვარული — ორივე თავისი არსით ეკუთვნის.

პირითადი სარგებლობა:

არა ვიყავა? თითონ სათქმელი გაიტაცებურად მოსტყებდა, საწყურ არს სიტყვად და საწყურ როგა ერთმანეთს მოხვდებოდა...

სიტყვას თუ საწყურ მოსტყებდა, ჰყავიან ეზანი ფართიანი, რა სურსო, თუ კაცი დარჩება თავისი სიტყვის პატრონი...

თუ ჰატყვინ ფანტაზის ის სიტყვებს და თავის სიტყვებს ვადავა, ამით რომ პატყვის თავის არ სიტყვის, ამას რა უნდა სხვა დავა?

თუ შეიღის ნაცვლად შენ ცხრაზე მიხეულ დანიშნულ ადგილას, რომ საათი დავივიწყებ, კაცი გვლად ამ დღოს...

დრო ფულიაო, ამბობენ, და შენც ანგარიშს უნდები, ჯიბიში გიპირიალებენ მისი „წამებაში“ „წულებიში“...

ჰო, დრო სხვა არის, მის სიბრძოლას სხვაფერი ფრთები ესმება, ფულის სიტყვად არცებოდას, სად თქულა დროის სიტყვად...

თუ დღეს მიღება ჰქონდა და დღის არაფერი გიშლიდა, ის მისაღებში იქნა და ლიბონი ამიწობრიკა...

გამოსავალი

მამ, თადარიგი იყავი არ ვაგულდები, — სულდილი! არ აყვავილი ტყუილად! სხვის ხულის სიბნეს უფროსილილი!

მამ, მოგზავარი ფეხიზად (ეს პასუხებდა იტივითი) — დროის მიუყვება, ვით მიიყვება დაფორმებულ სიბნობისში!

მირიბი შვიმპასარი

გამორყვებინიო სპორტის ეს სახე, ძირითადად, გავრცელებულია ქალაქებსა და გოჯოქის ტიპის დასახლებულ ადგილებში...

ერთ მადლიანს არ გადირსებს და ნაწყვინც დაფრესე იქნება! „მხოლოდ მე ერთს!“ — აწერია შეშუადღის მშადალ ფიფიებს!

ლიზიოპ ჭონძაძე

ნახ. 3. შინასაღვასანი



— რატომ ლაპარაკობ, ბიძი, მამ ქალს ვაჩვენებ? — ამოღესი რომ რა სურვილი!

პარტი ჭონძაძე

ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი


- თუ რედაქტორის ჩინი ჰქონს — ლუკუბითი გაეხებოდე გულში!
● სიგარეტი გულში დარღს კლავს თუ ფიფიონი გულს!
● საცუქურალებზე ფაყბს ცეცხლი წაუკლავ და... ადრეყავა!

ჯ ა რ ი მ ე ლ ს

ჩამირა-ჩამიღობრუნა, ჩაიყოლი თვალ-გული, იყვი ნინოც კი არ აქოვლი, ალაბთ, ასეთი აკვარცემული!

როზანა ზაპარაიშვილი

ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი



ნახ. 3. შინასაღვასანი

ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი


მამ, ჩართისი დასაყვავილად ერთ ჰქვია ხრესი აღად და... არცებოდას, სად თქულა დროის სიტყვად...

როზანა ზაპარაიშვილი

ნახ. 5. შინასაღვასანი



ნახ. 5. შინასაღვასანი



ნახ. 5. შინასაღვასანი

სამტყვერო

სამტყვერო

სამტყვერო



ლუარსაბის საკონსულტაციოდ ეკონომიკური გეგმით

ცხინვალის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკური არატიპიურ შენობა-შენიშნული. სასწავლო და საძინებელი კორპუსები მოუწყობელია, რემონტის საჭიროებს. დადებულია ხელშეკრულება საქ. სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხინვალის სარემონტო-სამშენებლო უბანთან სასწავლო, საყოფაცხოვრებო და საწარმოო ობიექტების კაპიტალურ რემონტზე, მაგრამ უბანს თავისი სიძნელეები აქვს და ტექნიკურისათვის ჯერჯერობით არ სცალია.

დღიური

...სკოლები შემოვიარე, არსად გული არ გამიჩერდა, იქნებ უფრო მოკლევადიანი სასწავლებელი ვიპოვო-მეთქი, გული დავიმიმდე და ერთ ძველ შენობას მივაღიქვი, სასწავლებელით, კი ეწერა ზედა, მაგრამ რისა იყო ვეღარ გავიგე, მერე ნივრის სუნმა გამომპკრა ეზოდანა, ანკესივით გამომეღო ნესტოებში და საითკენაც გამაქანა. ვიფიქრე ნაღდად ან თათარიახნი კეთდება ან ხაში-მეთქი. მივაღიქვი და რასა ვხედავ — აგურით ნახევრად ამოუყვანიათ კედლები და დაუნებებიათ თავი. ვერ მივხვდი, რა უნდა ყოფილიყო ეს შენობა მომავალში, წინასწარ რომ ნივრის სუნი უდიოდა?

ლუარსაბის საკონსულტაციოდ

ცხინვალის პროფტექსასწავლებელი № 78 ყოფილი საბავშვო ბაღის შენობაშია მოთავსებული. მისი მიმდებარე ტერიტორია ხილბოსტნეულის ბაზას უკავია, ქალაქის აღმასკომის დადგენილებით კი სასწავლებელს ეკუთვნის, მასვე ეკუთვნის ნახევრადამოყვანილი ყოფილი „ნივრის საამქროს“ საძირკვლის კედლები, სადაც თურმე სახელოსნოები უნდა მოეწყოს, მაგრამ სურამის ციხესავე შენდება და ვერაფრით ვერ აშენდა.

საბაზო საწარმო — „ცხინვალმშენის“ ტრესტი № 11 ძალიან გულგრილი მეურვეა, ეტყობა სასწავლებლის ხელმძღვანელებს კიდევ დიდხანს მოუხდებთ ტრესტის მესვეურებისათვის იმის მტკიცება, რომ სახელოსნო სასწავლებელს, პირველ რიგში სახელოსნო უნდა ჰქონდეს.

კვლავ დღიურიდან

ვევთ! ცხინვალელებს თითქოს და საგანგებოდ ჩემთვის გაუხსნიათ ძნელად აღსაზრდელი ბავშვების სკოლა. აბა, როგორ არ გამხარებოდა, მეც ხომ ძნელად აღსაზრდელი ბიჭი ვიყავი, სულ ერთ-თავად პირზე მეკერა, სწავლა რა კაცის ხელობაა-მეთქი.

შევედი თუ არა ჭიშკარში, გული ამიჩუყდა სიხარულისაგან, იქა-ურთა რაღაცით მივამგვანე მშობლიურ ეზოსა.

სასწავლო კორპუსიც გვაქვს (მაჩვენებს), სასადილოც და საძინებელიცაო, სხვა რაღა გინდა, შენი კუჭისა, რა ტურს გვიზუებო, მითხრეს, ვერ ვუპასუხე.

არ ვიცი დროებითა თუ სამუდამოთა სწავლის წყურვილმა გადა-მიარა.

ლუარსაბის საკონსულტაციოდ

ცხინვალის № 48 სპეცპროფსასწავლებელში მართლაც „ძნელად აღსაზრდელი“ ბავშვები სწავლობენ და ალბათ ამიტომ მათ სწორედ რომ ძნელად ზრდიან. ძველ ნაგებობებს, სახელოსნოებს მოღუშული იერი დაჰკრავს.

სასწავლებლის პედაგოგები და მოსწავლეები ოცნებობენ ისეთ საბაზო საწარმოზე, რომელიც მიეპატრონებოდა ამ გზააწეწილ, ობოლ, ფსიქიურად ტრავმირებულ ბავშვებს, მოუწყობდა სახელოსნოებს და პროფესიის დაუფლების შემდეგ მიიწვევდა სამუშაოდ, მაგრამ ასეთი საწარმო ჯერ არ ჩანს.

სასწავლებელს ჰყავს შეფი — ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, მაგრამ მის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს ზერელების ელფერი ატყვია.

ლამაზისეულის ჩაცმულობა რა ბედენაა (ხორცები მაინც არ უჩანდა) აქ მოსულ სტუდენტ-პედაგოგებს მეტი სისადავე მართებთ ჩაცმულობაში და უფრო მეტი პედაგოგიური ტაქტი.

ლუარსაბს კი ვურჩევთ, სასწავლებლად მიაშუროს ძნელად აღსაზრდელი ბავშვებისათვის აგებულ ახალ სასწავლო კომპლექსს, რომელიც მეტისმეტად დიდია 78 მოსწავლისათვის, რაც ამჟამად სასწავლებელში ირიცხება.

კალმახით შემინებულმა ზედ ხუთშაბათსა, თევზის დღესა, მკათათვის ოცდაექვსსა ზუთხს მივაძეხ და სააქიმოდ შევიქენ. თუ გიშველის ისევ მინერალური წყალით, მირჩია ექიმმა და ზედიზედ ჩამომითვალა მათი სახელები. მე მხოლოდ „ბაგიათი“ დამახსოვდა, ესეც იმიტომ, რომა ბაიათს მივაძგვანე. ავდექ და გავეშურე, ცხენდაცხენ მივაღიქვი ცხინვალ-ქალაქსა.

ვევთ, ამისთანა საკვირველება გინახავთ! წყალი მოვსვი ერთხელა, მოვიყარყარე მეორეთა და ვატყობ, იქვე გავკეთდი კაცი. შუბლზე ვიტყვიც ხელი, აი, თურმე, ცოდნას რა შესძობია-მეთქი. წყლით რომ გული ვიჯერე, ახლა სწავლის წყურვილმა მომიარა, კარგ ოსტატს დავეუწყე ძებნა და ერთ დიდ შენობას მივაღიქვი, სწორედ რომ დროზე მივუსწარ, შევირდები განცხადებას წერდნენ, ზოგს ფილოლოგობა ეწადა, ზოგს ბიოლოგობა, ზოგს რა, ზოგს რა. გავიკვირე, ეს რა ხელობები შემოულიათ-მეთქი, დაბნეულმა აქეთ-იქით მივიხედე — გული აღარ დამიღდა ამ დიდ შკოლაში.

ლუარსაბის საკონსულტაციოდ

ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, მიუხედავად დაგვიანებული რემონტისა, მაინც ივრძნობა მზადება. შეძენილია სწავლების ტექნიკური საშუალებები, დამონტაჟებულია კინოპროექტორი, მთავრდება ლინგოფონური კაბინეტის დაკომპლექტება, ბიბლიოთეკა ივსება მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით.

კვლავ თათქარიძის დღიური

ჯობდა ისეთი რამ მესწავლა, სოფელში გამომდგომოდა-მეთქი, გავიფიქრე და ერთ მამა-პაპურ შენობას გავხედე — აკი მიგრძნო ამ ოხერა გულმა! სუკისა და ჩალაღაჯის, მწვანისისა და ხილის ოსტატები, თურმე ნუ იტყვი და აქ გამოდიან. ეზოში რომ შევედი, ჩემი სახლ-კარი გამახსენდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომა არც დათო მოურავი ჩანდა და არც ბოზბაშის სუნი იღდა, გული ამიცრუვდა იქაურობაზე, არ ვიცი რათა.

ნახ. მ. აბაშიძისა



ჯერ კიდევ არ არის ჩაბარებული ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორცაა აბაშისა და ზნაურის რაიონების რძის წარმოებისა და ცხინვალის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გასასუქებელი კომპლექსები. არცთუ ცოტა მეცხოველეობის ისეთი ობიექტები, რომლებიც საექსპლოატაციოდ 2—3 წლის წინ უნდა გადაცემულიყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.



ეროვნული
გაერთიანების
კომისია

ნახ. ა. პანდელაკისა



„ჩაწოლილი საქონელი“

ქართული ნიანბს

პატივცემულო რედაქცია! ჩვენ, თბილისის ძველთაძველი უბნის — სოლოლაკის, ჯაფარიძის ქ. № 12/23 სახლის ბინადარნი ვართ. ჩვენი სახლიც ძველია და მას შეეკეთება ესაჭიროება. ჯერ კიდევ 1948 წელს სახლის კედელი ჩაინგრა სიძველისა და უფრო კი მოუვლელობისაგან. მაშინ აღადგინეს. ახლაც ამ საფრთხის წინაშე ვდგავართ: კედელში გამავალი კანალიზაციისა და სამრეცხაოს მილიდან წყალი ჟონავს, კედელი სველდება; სველდება და გამოუყენებელი ხდება სარდაფი, გროვდება ჭუჭყი...

ამ ამბავს საიდუმლოდ კი არ ვინახავთ, სახლმმართველობას, აღმასკომსაც გავაგებინეთ. მოვიდა ტექნიკური

ზედამხედველი, შეადგინა დეფექტური აქტი, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ის აქტი მართლა დეფექტური აღმოჩნდა და სახლის სველ კედლებს, დანგრეულ-ჩაქამულ სარდაფს, ჩაჭუჭყიანებულ სადარბაზოს ვერაფერი უშველა.

თქვენ გვიშუამდგომლეთ, პატივცემულო რედაქცია, აღმასკომის წინაშე, პროტექციას კი არ ვითხოვთ, ვითხოვთ კანონის ფარგლებში კაპიტალურად შეაკეთონ ჩვენი სახლი.


—:—:—

ბაგები თბილისს ზედ აკრავს, თბილისელებსაც კი გვეძახიან, მაგრამ ეგ ჩვენ არა გვჭერა. თუ ქალაქელები ვართ, რატომ არა გვაქვს ტელეფონი, კინო, აბანო, საბავშვო ბაღი, სამრეწველო მალაზია? ერთი კი არის, რომ ქალაქთან ახლოს ვართ, მაგრამ არც ისე ახლოს, ფეხით შეგვეძლოს ქალაქს ჩასვლა. ტრანსპორტით? — იფიქრებთ. კი, ბატონო. ავტობუსი № 61, მარშრუ-

ტი „ბაგები—ვაკის პარკი“ არსებობს, მაგრამ ავტობუსით რომ იმგზავრო, ამისათვის ელემენტარული საქმე უნდა გააკეთო: ავტობუსში უნდა შეხვიდე და დაჯდე (ფეხზე დგომაც შეიძლება). ამ ავტობუსში შესვლა ძალიან ძნელია, პიკის საათებში კი — შეუძლებელი.

მოგეხსენებათ, ბაგებში სტუდენტებს საცხოვრებლად სასახლეები აუშენეს, არიან კიდევ ღირსნი, სილაღე და სიმხიარულე შემოგვამატეს, მაგრამ ავტობუსი უფრო გადაიტვირთა. ახლა გაჭედო-დახუნძლო ავტობუსს ზემოუბნელთა გაჩერებაზე არც აჩერებენ. სტუდენტები ამბობენ, ავტობუსი ჩვენიაო, ჩვენ კი ეჭვი გვეპარება მათ სიმართლეს.

ვითხოვთ № 21 ავტობუსის მარშრუტი ჩვენამდე გაეგრძელებიათ (როგორც რამდენიმე წლის წინ იყო), გზა ვიწროაო, გვიბასუხეს, რა ვქნათ ახლა, ნიანგო, გავაფართოოთ ეს გზა, თუ სჯობს, ყველამ საკუთარი მანქანები ვიყიდოთ, ავტობუსი კი სტუდენტებს დავეთმოთ?



უსიტყვოდ


პიკარული გზები

— საოცარი საქმე შემხვდა, — უთხრა ახალგაზრდა მოხაზართლემ ხანში შესულ ადვოკატს ერთ-ერთ ამერიკულ ქალაქში, — საღამოთი, ოტელ „ატლანტიკაში“, შევიდა ვიღაც ფეთხუმი კაცი. მოითხოვა ნომერი. დილით, როცა გაიღვიძა, ნახა რომ მისი ტანსაცმელი გაუწმენდათ, ფეხსაცმელები გაუპარიალბებიათ. მერე თქვენ რა გგონიათ? მან უჩივლა სასტუმროს ადმინისტრაციას, გაპრიალებულ ფეხსაცმელებისათვის მოსთხოვა მილიონი დოლარი, გაწმენდილი კოსტიუმი სათვის — 5 მილიონი, გარეცხილი და გაუთოებელი პერანგისათვის — 10 მილიონი და გაქაჩათებული ცხვირსახოცისათვის — 25 მილიონი! პირდაპირ საოცარ ამბავია!

— საოცარი არაფერია, ჩემო კარგო, — მიუგო ცხოვრებაში გამოძრმედილმა იურისპრულენციის მუშაკმა. — ოტელ „ატლანტიკის“ მცხოვრები — სამრეწველო ჯამუშია. მოთხოვნილი თანხით თუ ვიმსჯელებთ, იგი ფეხსაცმლის მტვერით აპირებდა ახალი ცნობები მიეცა მინერალური სასუქების კომპანიებისათვის, პერანგის ლაქებით — ახალი ცისკის რეცეპტი, კოსტიუმზე „შემთხვევით“ შემორჩენილი ძაფის წყალობით — რა მასალით იქსოვება ახალი, სპორტული ტანსაცმელი. ხოლო რაც შეეხება ცხვირსახოცს, — ეტყობა ჯამუშმა მოახერხა მისი ახალი მედიკამენტით დასველება. ქიმიური ანალიზით იოლად შეიძლება მისი ფორმულის დადგენა. ასეა, კოლეგა, ეს მეთოდები დიდი ხანია შტატებს გარეთაცაა ცნობილი. ამის შესახებ დეტალური წერილი გამოაქვეყნა იტალიურმა უურნალმა „მონდომ“.

— კი მაგრამ, გასაკვირია როგორ არ არის, როცა სასტუმროს პატრონს თავლიც არ დაუხანძრებია, ისე გადაუხადა ეს ასტრონომიული თანხა! — წამოიძახა ახალგაზრდა იურისტმა.

— ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მან ჩვენი კომპანიებისაგან უფრო მეტი მიიღო. ეს არის და ეს.



მოკალმებული წრე



გაჩერებაც აკრძალულია!



ქირბამოთხრა აკრძალულია!..

მთავარი რედაქტორის მოადგილე ჯაშრ ბოლქვაძე სახელმწიფო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლა, ბ. ლომიძე, ნ. ვალაშვილი (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნაძე. ბ. სინარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. შირსხალაძე, ო. ვალიძე
 ● ტექნიკური რედაქტორი მ. კახალაშვილი, ● სტანკინა და იუმორის შურნალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. საარტიცვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 2097. უფ. 00800. ტირ. 144.000 ● თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Нянги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
 ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემაზე ავტორები: ბ. დევედარიანი, მ. აბაშიძე, ბ. ლომიძე, ბ. დედაძე, ბ. ერანი, ბ. გორგაძე, ბ. ფიცხალაძე, ი. ყუინიშვილი.

